## როგორ ვიდღესასწაულეთ თამარ მეფის იუბილე!

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენს პრესაში დაიწყეს ლაპარაკი თამარ მეფის სახელის პატივსაცემად იუბილეს მოწყობის შესახებ. შვიდასი წელიწადია რაც გარდაიცვალა თამარი. ამ დიდებულ გვირგვინოსანის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე უსაზღვროა. და თანამედროვე ქართველობას შემთხვევა ეძლეოდა დაემტკიცებინა ეროვნული გრძნობის სიმწიფე და სულიერი კავშირი წარსულის დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მომენტთან. ასე სწერდნენ და ჰფიქრობდნენ გულუბრყვილო მწერლები ამ საგნის შესახებ. ჩვენს საზოგადოებაში არიან კიდევ თითო-ოროლა ილუზიონისტი, რომელთაც ჯერ კიდევ გული არ გასტეხიათ და დროგამოშვებით, დადუმებულ არე-მარეში, სიკეთესა და მოვალეობაზე იწყებენ ლაპარაკს...

აღიძრა თუ არა ლაპარაკი იუბილეს გადახდის საჭიროებაზედ, ინიციატორები ამ „შეუსაბამო“ ნატვრისა მოლოდინში იყვნენ, აცა საზოგადოება გახმაურდება, ხმას ამოიღებენ დაწესებულებანი, საზოგადოებანი და კორპორაციები, სიხარულით დაებღაუჭებიან ამ აზრს და მოიწადინებენ მის განხორციელებას. მაგრამ დრო მიდიოდა. ხმა-კრინტი არსაიდან ისმოდა. კიდევ იწყებდნენ წერას: აბა, მამულიშვილნო, აჩქარდით, ველით, მოგვეცით ბანი, დავიწყოთ საქმე, შევადგინოთ კომიტეტი ან რაც საჭიროა ამისათვისო. შენც არ მომიკვდე! მამულიშვილნი არ შეწუხდნენ და ხმა არავინ ამოიღო. მაშ თქვენ, ქართველო ქალებო, ტურფა ასულნო, თამარის სახელწოდებას  რომ ატარებთ, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა მოიგონოთ დიდებული ქალი-მოღვაწე და საზოგადოებას გაახსენოთ ამ ქალის ქველობა და კარგობაო, მაგრამ, თამაროები, ჩვეულებრივად აჭიკჭიკებულნი, ამ ჟამად დადუმდნენ, თითქოს წყალი ჩაიყენეს პირშიო. და „არსით ხმა,  არსით ძახილი“.

გადის კიდევ რამდენიმე ხანი. გულუბრყვილონი, „ოცნებაში“ შეყვარებულნი, „ჭრელი ხილვის“ მაძიებელნი და ილუზიონისტები ( თითო-ოროლა არის კიდევ ამისთანა ხალხი ჩენს ქვეყანაში) მაინც რაღაცის მოლოდინში იყვნენ. და სწორედ ამ ხანში დაბეჭდა ერთი წერილი, რომელიც, აშკარაა, ეკუთვნოდა იმგვარ ადამიანს, რომელსაც ოდესღაც სჯეროდა სიკეთე ამა ქვეყნისა. ხოლო ამ ჟამად მწარე და უიმედო ფიქრებს გაეტაცნა. რის იუბილე, რა იუბილე? ვის აგონებთ მოვალეობის აღსრულების საჭიროებას? ქართველ საზოგადოებას?! ბატონებო, ეგ ხომ სასაცილოა! თავის ღირსეულ წინაპრებს იგონებს და პატივს სცემს ის საზოგადოება, რომელსაც თავის თავის პატივისცემა აქვს. და თქვენ გინდათ ქართველმა საზოგადოებამ, დაქსაქსულმა, დანაწილებულმა, თავის თავის არამცნობმა და მაშასადამე თავის თავის უპატივცემულობაში აღზრდილმა გამოიჩინოს დღეს ეს არა ჩვეულებრივი აქტი მამულიშვილობისა! არ მჯერა და ნახავთ, თუ მართალი არ ვიყოვო.

ამასობაში მაისობაც დადგა. თუმცა ბუნება როგორღაც იკუმშებოდა, მაგრამ მაინც ლამაზად აბიბინდა და დამშვენდა გაზაფხულის მშვენებით. თუ დღესასწაულია, ამაზე კარგი დრო არ გამოირჩევა. მაგრამ დღესასწაული არავის ახსოვდა. მიიყრუეს; მიჩქმალეს,

მიაფუჩეჩეს, თითქმის არა თქმულა-რა და  არა ითქვა რა. და წმინდის გულით და სპეტაკ სინდისით საზაფხულო კლუბების გახსნის მოლოდინში იმყოფებოდა საზოგადოება.

მაგრამ ამავე დროს მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელსაც მოულოდნელად დიდი შედეგი მოჰყვა. „ტფილისის ფურცელში" ვიღაც „ზიგზაგი" უპატივცემულოდ მოეკიდა თამარ მეფის ხსოვნას. წმინდა არისო, მითხარით რატომ არის იგი წმიდაო? ეჭვის გარეშეა, საკითხი ბრიყულად არის დასმული და სრულიად ბუნებრივი იყო ის გარემოება, რომ ქართულმა პრესამ აღნიშნა ეს სიბრიყვე და გააფრთხილა „ტბილისის ფურცლის" მესვეურნი: წრეს ნუ გადახვალთ და თავს ნუ იგდებთო, მაგრამ რუსულმა გაზეთმა, ქართველები რომ სცემენ, ხმა აღიმაღლეს. უნდა სთქვას კაცმა, რომ გულადები არიან... როცა დაბალ ღობეს წააწყდებიან. „კავკაზსკაია რეჩი" პათეთიურად გაიძახოდა: როგორ თუ თამარ მეფის შეურაცხყობა მოისურვეთ! არ იცით განა, როგორ გვიყვარს, როგორ ვცემთ პატივს და როგორის  მუხლის მოდრეკით ვიხსენიებთ მის სახელს! აი თქვე სომხებო, ურიებო[1], თქვენ გვიბედავთ შეურაცყოფას და განა არ იცით, ურჯულოებო, რომ თამარ მეფის სახელი ყოველ საუნჯეს გვირჩევნია და ნუ თუ გგონიათ, რომ დაუსჯელნი დარჩებით, როცა შეურაცყოფთ ჩვენს საუნჯეს, ჩვენს სათაყვანებელს,  ჩვენს დიდებულ თამარ-მეფეს, რომლის სიკვდილის მერე შვიდასმა წელმა განვლო და რომელიც წარუხოცევლ აღბეჭდილია ყოველი ქართველის გულშიო! ამ ამაღლებულ კილოთი შეტევის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა და საზოგადოებამაც ხმა ამოიღო. სხვა და სხვა წრეებიდან დაიბეჭდა საპროტესტო წერილები. გაჩნდა რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა, როლითაც ამაყობდა „კავკაზსკაია რეჩი" და პირში ბურთსა სჩრიდა ურჯულო შემრაცყოფელებს.[2]

არ ვიცი რატომ, მოშორებული რომ ვარ ყველა ამას, თუ სხვა მიზეზებისა გამო, ამ განაგაშმა და მოულოდნელმა ხმაურობამ ჩემზე არა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. და რომ დაუკვირდი ჩემში აღძრულ უკმაყოფილების გრძნობას, ამ ამბებით გამოწვეულს, მივხვდი კარგად რაშიც არის საქმე.

ხუთი თვე არის ემუდარებოდნენ საზოგადოებას, აბა შენ იცი, როგორც პატივსა სცემ დიდ ბუნებოვან მანდილოსანს! ხან აქეზებდნენ, ხან სტუქსავდნენ, ხან სიმდაბლით ევლებოდნენ, ხან უჯავრდებოდნენ და ბოლოს მაინც ემუდარებოდნენ, აბა ვინძლო თავი არ შეირცხვინო, შვიდასი წლის დამსახურებული ქალი ადიდე და გაიკითხეო. მაგრამ ყოველივე ამაო იყო, ან როგორ იქნებოდა სხვანაირად, როდესაც თამარ მეფის სახელის მოგონება ქართველი საზოგადოების თვალში სრულიად უჩვევი აქტია, რომელსაც, ვინ იცის, ვინ როგორ შეხედავს, ვინ როგორ განმარტავს. თამარ მეფის სახელის მოგონება იქნება კიდევაც სეპარატისტულ აქტად ჩაუთვლიდენ, ან კიდევ, ღმერთო შეგცოდე, ძველ

---

[1] ზიგზაგს ურიობა დასწამეს, ფიცულობს ქრისტიანი ვარო.   ა.ჯ.

[2] ლევ. ყიფიანის დამამშვიდებელი წერილი დაიწერა მაშინ,როდესაც ყოველივე დაბოლოვებული იყო.    ა. ჯ.

სამეფოს აღდგენის სურვილს დასწამებდნენ. ვინ იცის? ხიფათიანი დროა. და ქართველი საზოგადოება ხომ ასეთი გაფრთხილებულია, ასეთი წინდახედული და გაწვრთნილი. რა დროს ეგენია. ნდობა უნდა დავიმსახუროთ, ნდობა და აბა თამარ მეფის გახსენებაზე რა ნდობა ექნებათ ჩვენი! არა, გონიერება გვიკარნახებს - სიფრთხილე, სიფრთხილე სიფრთხილე!..

ასე ამართლებდა თავის თავს გუნებაში ქართველი საზოგადოება და ასეთი დუნე და წყალწაღებული ფიქრები უტრიალებდნენ თავში. მაგარმ, დახე ბედის ტრიალს! მამულიშვილურ გრძნობათა გამომზევების შემთხვევა არ მიეცა უეცრად ხელში ღვთის მადლით! შიშიც არსაიდან იყო. არც სეპარატისტობას, არც მეფობის აღდგენის სურვილს არავინ დასწამებდა. მაშ ჩავჭიდოთ ხელი თამარ - მეფეს, ვიამაყოთ, ვილაღოთ, ვაჩვენოთ ხაჩატუროვებს და ზიგზაგებს ვინც ვართ, როგორ ვიცით პატივისცემა და დაცვა გმირების და წინაპრების სახელისა. დიაღ, ვაჩვენოთ და იწყეს „პატრიოტული“ განგაში, ზათქი და ზეიმი ასტეხეს!

დაილოცა ღვთის სამართალი! საქმე მართლაც კარგად მოეწყო. რაღაცას გვაყვედრიდნენ. აჰა! მამულიშვილობაც გამოვიჩინეთ და არც ვისიმე წყრომა გამოვიწვიეთ. ვინ იტყვის, რომ პატივი არ ვიცით შვიდასი წლის დიდებულ მიცვალებულისა და მეორეს მხრივ, ვინ დაგვწამებს სურვილს სეპარატიზმისას, სამეფოს აღდგენისას! ებრაელის დატუქსვა და გმობა ხომ მოსაწონი არის იმ წრეებში, სადაც სწყდება მომაკვდავ ადამიანთა ბედ-იღბალი. მაშ ვაშა ჩვენსეროვნულ სიმწიფეს და განსაკუთრებით კი ჩვენს საარაკო გაბედულებას!

<u>ტექსტი ციფრული ვერსია მოამზადა:</u>
ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ რველის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა **მაია გურასაშვილმა**

**8 აპრილი, 2020 წელი**
**#დარჩისახლში**